შიდსი — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი — მომაკვდინებელი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს **ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი** — აივ. ის ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის დამცავ ანუ იმუნურ სისტემას. აივ ინფექცია ეწოდება აივ-ით გამოწვეულ დაავადებას ვირუსის შეჭრის მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე. შიდსი კი არის ამ დაავადების ბოლო სტადია.

შიდსის ვირუსი გადაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს შემდეგი გზებით:

- ☠ სქესობრივი კონტაქტით (ვაგინალური, ანალური, ორალური).
- ☠ ინფიცირებული სისხლით: სისხლის გადასხმისას, საინექციო ნარკოტიკების გამოყენებისას (საერთო შპრიცით და ჭურჭლით) არასტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ☠ ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე მუცლად ყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს.

შიდსის ვირუსი არ გადადის:

- ☺ საერთო მოხმარების საგნებით (ჭურჭელი, აბაზანა, პირსახოცი)
- ☺ მწერებისა და ცხოველების ნაკბენით
- ☺ ხელის ჩამორთმევით, საუბრისას, დახველებით და დაცემინებით.
- ☺ კოცნით, მოფერებით.

აივ ინფექციის მიმდინარეობა და ნიშნები:

ვირუსის შეჭრის მომენტიდან აივ ინფექცია შესაძლებელია რამდენიმე წელი გაგრძელდეს (საშუალოდ 3-10 წელი). ამ პერიოდში ადამიანი ვირუსის მატარებელია, შეუძლია ინფექცია სხვა ადამიანებს გადასდოს, მაგრამ არ აქვს დაავადების ნიშნები. თუმცა ინფიცირებიდან 2-3 თვის მანძილზე შეიძლება მოკლე დროით თავი იჩინონ მცირე პრობლემებმა, როგორიცაა ფაღარათი, ცხელება, წონაში დაკლება, ლიმფური კვანძების გადიდება. აივ ინფექციის ბოლო სტადიაზე, შიდსის დროს, იმუნური სისტემა უკვე მძიმედაა დაზიანებული და ვითარდება სხვადასხვა, უპირატესად ფილტვების, თავის ტვინის, საჭმლის მომნელებელი სისტემის ინფექციური დაავადებები, ასევე სიმსივნეები.

ტესტირება აივ-შიდსზე:

იმისთვის, რომ გაიგოთ, ხართ თუ არა აივ-ინფიცირებული, უნდა გაიკეთოთ სისხლის გამოკვლევა აივ-ზე. ეს გამოკვლევა პასუხს იძლევა ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან მხოლოდ 6-8 კვირის შემდეგ. ტესტირება მიმდინარეობს რამდენიმე საფეხურად. თითოეულ საფეხურზე თუ პასუხი უარყოფითია, შემდეგი საფეხური აღარაა საჭირო. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი არაა აივ-ინფიცირებული. ხოლო თუ პასუხი დადებითია, საჭიროა შემდეგი საფეხურების ჩატარება. მხოლოდ ყველა ეტაპზე მიღებული დადებითი პასუხის შემთხვევაში ვადგენთ, რომ ადამიანი აივ-ინფიცირებულია.

შესაძლებელია თუ არა აივ ინფექციის მკურნალობა

დღეისათვის აივ ინფექციის სამკურნალოდ არსებობს 15 ანტივირუსული მედიკამენტი. თუმცა ეს წამლები სრულიად ვერ თრგუნავენ ვირუსს და მხოლოდ გარკვეულად აფერხებენ მის გამრავლებას.

როგორ დავიცვათ თავი აივ ინფექციისაგან:

- ერთგული და ჯანმრთელი პარტნიორი თავდაცვის საუკეთესო გზაა.
- თუ თქვენი პარტნიორი არ არის თქვენი ერთგული, ან თქვენ ერთზე მეტი პარტნიორი გყავთ, აუცილებელია კონდომის გამოყენება ყოველი სქესობრივი კავშირის დროს.
- მოითხოვეთ სტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტრუმენტები, ასევე ყოველთვის გამოიყენეთ ერთჯერადი ნემსები და შპრიცები.

ეს მნიშვნელოვანია!

თუ ჩატარებული ტესტის პასუხი დადებითია, თქვენ ხართ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) მატარებელი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ხართ შიდსით დაავადებული. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ შეგიძლიათ ეს ინფექცია სხვას გადასდოთ. ვირუსის მატარებლობის შემთხვევაში ინფექციასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალბას ექიმის რჩევების შესრულება წარმოადგენს.

დღეისათვის აივ ინფექცია/შიდსის საბოლოო განკურნება არ ხდება, ამიტომ აუცილებელია ვიზრუნოთ მისი თავიდან აცილებისათვის.

ყურადღება! აივ ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგან ერთის არსებობა ზრდის მეორის გადადების რისკს და პირიქით.